დამტკიცებულია სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის

სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 28.12 ---------- სხდომის N27 ოქმით

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთათვის სტიპენდიის დანიშვნის წესი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (შემდგომში - აკადემია) სტუდენტთათვის სტიპენდიის დანიშვნის საკითხებს.

2. აკადემიაში სტიპენდია გაიცემა მხოლოდ საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებზე, გარდა საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელ სემესტრზე მსწავლელი სტუდენტისა

3. სტიპენდიატთა მაქსიმალური რაოდენობა ყოველ სემესტრში არ უნდა აღემატებოდეს 50 (ორმოცდაათი) სტუდენტს.

4. ამ წესის მე-3 პუნქტში მითითებული საერთო რაოდენობის ფარგლებში, აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭო ყოველ სემესტრულად სტუდენტთა რაოდენობას შესაბამისი პროცენტული მაჩვენებლით ანაწილებს ფაკულტეტებს შორის ამ წესის მე-5 პუნქტში მითითებული პრინციპის მიხედვით.

5. აკადემიის აქტიური სტუდენტების სრული რაოდენობიდან გამოითვლება 50 (ორმოცდაათი) სტიპენდიატის პროცენტული მაჩვენებელი, ხოლო შემდეგ ფაკულტეტების მიხედვით მათ აქტიურ სტუდენტებს (რომელთა ჯამი უნდა შეადგენდეს აკადემიის აქტიური სტუდენტების ჯამს) მიესადაგება მიღებული პროცენტი და ფაკულტეტების მიხედვით განაწილდება ადგილების რაოდენობა, 50 (ორმოცდაათი) ადგილის პროცენტული მაჩვენებლიდან გამომდინარე.

6. სტიპენდია გაიცემა აკადემიის საბაკალავრო საფეხურის აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე (გარდა საბაკალავრო საფეხურის დამამთავრებელ სემესტრზე მსწავლელი სტუდენტისა) იმ სტუდენტებზე, რომელთა შესაბამისი ბოლო (სტიპენდიის დანიშვნის მომენტისთვის წინა) სემესტრის GPI არის ყველაზე მაღალი, ხოლო თანაბარი ქულების შემთხვევაში, შერჩევის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალობის საგნებში მიღებულ შეფასებას (იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტთა GPI საბოლოო დათვლის შედეგად იქნება ერთნაირი, მათი საერთო ქულის განსაზღვრა სისტემაში მოხდება საშუალო არითმეტიკულით).

7. ამ წესის მე-6 პუნქტში მითითებული სპეციალობის საგნების პრიორიტეტულ ჩამონათვალს სემესტრის დაწყებამდე განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.

8. ფაკულტეტისთვის დადგენილი კვოტის ფარგლებში, ფაკულტეტების მიერ სტიპენდიატთა სიების განსაზღვრა ხდება, როგორც წესი, არაუგვიანეს ნოემბრის/აპრილის თვის პირველ ნახევარში, თუმცა, შესაძლებელია აღნიშნული სიების განსაზღვრა მოხდეს მოგვიანებით (სემესტრის განმავლობაში) იმ პირობით, რომ სემესტრის დასრულებამდე სტუდენტს მიეცემა სემესტრულად განსაზღვრული სტიპენდიის ოდენობა სრულად (შესაძლებელია ერთიანად).

9. სასტიპენდიო ფონდი განისაზღვრება ყოველწლიურად წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, რომელიც შეიძლება დამტკიცდეს ცალკე, ან აკადემიის ბიუჯეტთან ერთად და ამასთან, სტიპენდია შეიძლება გაიცეს როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო სახსრებიდან.

10. ფაკულტეტების წარდგინების საფუძველზე, სტიპენდიატთა სახელობითი სია, გასაცემი სტიპენდიის ოდენობა (როგორც წესი - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, ხოლო განსხვავებული ოდენობა შეიძლება დაადგინოს წარმომადგენლობითმა საბჭომ) და გაცემის გრაფიკი მტკიცდება სემესტრულად რექტორის ბრძანებით.

11. სტიპენდია გაიცემა ყოველთვიურად, 8 თვის მანძილზე (4 თვე სემესტრულად), შესაბამისი თვის ბოლო კვირის განმავლობაში, სტუდენტის მიერ წარმოდგენილ პირად საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

12. სტიპენდიის მფლობელი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისას, მობილობისას (როგორც შიდა, ისე გარე) ან/და სტუდენტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის, აკადემიის რეგულაციების, მათ შორის, ეთიკის კოდექსის ან/და შინაგანაწესის ან/და სხვა აქტების დარღვევისას, სტიპენდიის გაცემა შეწყდება სტიპენდიატთა სიიდან სტუდენტის ამოღებით.

13. ამ წესის მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აკადემია უფლებამოსილია (შესაბამისი ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე) მიიღოს გადაწყვეტილება, გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისთვის (იმავე პროგრამაზე საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სხვა სტუდენტისთვის, რომელის უკანასკნელ სემესტრში შეფასებათა საშუალო ქულა რიგითობით ყველაზე მაღალია) სტიპენდიის სახით დანიშვნის შესახებ, სტიპენდიანტთა სიისთვის ამ სტუდენტის დამატებით.

14. რექტორის ბრძანებით დამტკიცებულ სიაში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, რაც გულისხმობს ამ სიაში სტუდენტის დამატების გარდაუვალ აუცილებლობას (ამ წესით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და ყველანაირი ობიექტური გარემოებების საფუძველზე), შესაბამის სემესტრში სტიპენდიატთა რაოდენობამ შეიძლება გადააჭარბოს 50-ს, ხოლო დამატებული სტუდენტისთვის სტიპენდიის გაცემა მოხდება არასაბიუჯეტო სახსრებიდან.

15. სტუდენტისთვის სტიპენდიის დანიშვნის საკითხთან მიმართებით, შესაბამის კონკრეტულ შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით/რექტორის ბრძანებით შეიძლება მიღებულ იქნეს ინდივიდუალური გადაწყვეტილება, რაც პირდაპირ შეიძლება არ იყოს გაწერილი ამ წესში, მაგრამ არსებითად არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ამ წესის მოთხოვნებს.